საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/95

ქ. ბათუმი

14 აგვისტო, 2019 წ.

ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლისა საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა **დანართი 1-ის** შესაბამისად;
2. დადგენილება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს მართვის ორგანოებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კველვით ერთეულებს, ფაკულტეტებს და ყველა სტრუქტურულ დამხმარე ერთეულს.
3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს
№06-01/95 დადგენილების
დანართი 1.

ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის (შემდეგში ,,უნივერსიტეტი“ ან ,,ბსუ“) ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის

(შემდეგში „ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა“) შემუშავების საფუძველია საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, უსდ-ს ავტორიზაციისა და საგანმანთლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები, უნივერსიტეტის წესდება, მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტები, ბოლონიის დეკლარაცია, აღიარების ლისაბონის კონვენცია და სხვ.;

ბ) ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ემსახურება ბსუ-ს ინტეგრირების

ხელშეწყობას ევროპის უმაღლესი განათლების სივრცესთან, გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ადგილის დამკვიდრებას, ცნობადობის ზრდას საერთაშორისო საგანმანათლებლო აკადემიურ სივრცეში, ჩართულობას საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებსა და საუნივერსიტეტო ქსელებში, კულტურათაშორის დიალოგს, გლობალური კონკურენტ- უნარიანობის უზრუნველყოფას ხარისხიანი პროდუქტის საერთაშორისო ბაზრისთვის შეთავაზების საფუძველზე.

გ) ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა შექმნილია, როგორც ბსუ-ს სტრატეგიული

განვითარების გეგმის დამხმარე დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს ბსუ-ს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის, თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტურად და თანმიმდევრულად გატარებას.

მუხლი 2. ძირითადი ასპექტები

ბსუ- ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა:

ა) ეფუძნება დინამიურობის, გამჭვირვალობის, აკადემიური კეთილსინდისიე-

რებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს;

ბ) მოიცავს სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესს;

გ) ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობას,

სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ან/და პროექტების შემუშავება/განვითარება/განხორციელებას, საერთაშორისო კვლევებში ჩართულობას და მხარდაჭერას, შემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესებას და სხვ.;

დ) მიზნად ისახავს სწავლა-სწავლების მიდგომებთან, კვლევითი პრიორიტეტების

განსაზღვრასთან და შემოქმედებით პრაქტიკასთან დაკავშირებით ახალი ცოდნისა და მიდგომების გაზიარებას, პერსპექტივების ჩამოყალიბებას, დასახული ამოცანების შესრუ- ლების გზების მოძიებას და სხვ.;

ე) ითვალისწინებს სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის ჩართულობას ინტერნაციონალიზაციის პროცესში;

ვ) უზრუნველყოფს ინტერნაციონალიზაციის შედეგების უნივერსიტეტის

საქმიანობაში ეფექტურად გამოყენებას.

მუხლი 3. პასუხისმგებელი ერთეულები

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შემუშავებასა და ამოქმედებაზე პასუხის-მგებელია ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი, სამეცნიერო კვლევების სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაციის

ხელმძღვანელი, რექტორის მოადგილე, ფაკულტეტის დეკანი ბსუ-ს სამართლებრივი აქტებისა და წინამდებარე პოლიტიკის გათვალისწინებით, ურთიერთთანამშრომლობის, გამჭვირვალობის, პატივისცემისა და პასუხისმგებლობის პრინციპებზე დაყრდნობით.

მუხლი 4. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზნები

ა) გაცვლით პროგრამებში პროფესორების, მკვლევრებისა და სტუდენტების აქტიური მონაწილეობა;

ბ) ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისა და შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება;

გ) საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებში გაერთიანება და საუნივერსიტეტო ქსელებში ჩართულობა;

დ) უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან აქტიური თანამშრომლობა.

მუხლი 5. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ამოცანები

ა) პროფესორ-მასწავლებელთა/მკვლევართა გაცვლა - კონკურსის საფუძველზე შერჩეული აკადემიური პირების/მკვლევრების მივლინება პარტნიორ უნივერსიტეტებში; უცხოელი პროფესორ-მასწავლებელთა/მკვლევრების მასპინძლობა, როგორც დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამების, ისე საკუთრივ უნივერსიტეტებს შორის არსებული შეთანხმების ფარგლებში;

ბ) სტუდენტების გაცვლა - კონკურსის საფუძველზე შერჩეული სტუდენტების მივლინება პარტნიორ უნივერსიტეტებში სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ასათვისებლად; უცხოელი სტუდენტების მასპინძლობა, როგორც დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამების, ისე საკუთრივ უნივერსიტეტებს შორის არსებული შეთანხმების ფარგლებში;

გ) ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლა - გამოცდილების მიღებისა და გაზიარების მიზნით, ადმინისტრაციაში დასაქმებულ პირთა მივლინება პარტნიორ უნივერსიტეტებში;

დ) პროფესიული წინსვლა და უწყვეტი განათლება - ექსპერტების მოწვევა და ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფა;

ე) ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების, საერთაშორისო საგრანტო პროექტების და შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება;

ვ) საბიბლიოთეკო ქსელებსა და კონსორციუმებში უცხოენოვან სამეცნიერო ნაშრომთა ბაზებზე წვდომა;

ზ) უცხოეთის საგანმანთლებლო და სამეცნიერო ცენტრებთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობა - საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება და მემორანდუმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;

თ) ბსუ-ს მიერ საერთაშორისო ფორუმებისა და საზაფხულო სკოლების ორგანიზება და მათში სტუდენტების, მკვლევრების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობა;

ე) ქვეყნის გარეთ ორგანიზებულ სამეცნიერო ღონისძიებებსა და საზაფხულო სკოლებში სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობის ხელშეწყობა.

მუხლი 6. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ამოცანების გადაჭრის გზები

ა) საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესი, რომლითაც რეგულირდება საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში დაინტერესებულ პირთა ჩართულობა და კონკურსის გამჭვირვალობა.

საკონკურსო პირობების, პროცედურებისა და ვადების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.bsu.edu.ge. წესის განხორციელებას კოორდინაციას უწევს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად.

ბ) ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცედურები; ბ.ა ითვალისწინებს რაციონალური არჩევანისთვის პროგრამის შინაარსის
გამოკვეთას და პარტნიორების შერჩევას;

ბ.ბ ეფუძნება პარტნიორი უნივერსიტეტების საერთო ინტერესს, ერთობლივ ინიციატივას და პროგრამის განმახორციელებელ სუბიექტებს შორის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში პასუხისმგებლობების და ვალდებულებების მკაფიოდ განსაზღვრას;

ბ.გ მიზნად ისახავს აღიარების ლისაბონის კონვენციის რეკომენდაციების
გათვალისწინებით ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებას.

გ) უცხოელი სტუდენტების რეკრუტირებისა და მობილობაში მონაწილე სტუდენტების ხელშეწყობა;

უცხოელი სტუდენტების საგანმანათლებლო პროგრამებში მოზიდვის სტრატეგიის მექანიზმებია:

- საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობა;
- ორმხრივი შეთანხმებები მობილობის თაობაზე;
- Erasmus+ ფარგლებში მობილობა;
- შეთანხმებები შუამავალ სააგენტოებთან;

მოზიდვის სტრატეგიას ხელს უწყობს:

- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები;
- ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები;
- ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები;
- სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები.

დ) უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა

- უცხოელი აკადემიური პერსონალის ჩართვა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, რაც ხელს უწყობს სამეცნიერო დიალოგის გაღრმავებას, ცნობადობის ზრდას და პროფესიულ განვითარებას.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები.

1. აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის/პირების ვინაობა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით;

2. დოკუმენტში ცვლილების შეტანა შესაძლებელია ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით.